ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №190

2020 წლის 22 აპრილი

ქ. რუსთავი

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის N68 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტეროტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის N68 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04.03.2015წ., 210020010.35.160.016278) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას დაემატოს შემდეგი რედაქციის 1^4 მუხლი:

„**მუხლი 1^4.**

„კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის N220 დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად ფიზიკური პირები გათავისუფლდენენ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის 2020 წლის მარტის, აპრილის, მაისის თვის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ლევანი ონიანი**